

შეთანხმება

2013 წლის 11 ივნისს 030901/08/2911 ხელშეკრულებაში ცვლილებების შესახებ

ქ. თბილისი

20 იანვარი 2014 წ.

ერთი მხრივ სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის მოადგილის, შპს „მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების ცენტრი, საუნივერსიტეტო კლინიკა“ (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი ინგოროყვას სახით, „იმ სახელმწიფო პროგრამების/მათი ღონისძიებების/მოცულობების განსაზღვრის შესახებ, რომელთა განხორციელებაც სახელმწიფოს მიერ 2013 წელს ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად უწყვეტად გაგრძელდება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში განსახორციელებელი 2014 წლის შესაბამისი ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცებამდე ან/და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესრულებამდე, ან ვაუჩერის პირობების შესაბამისად, შესაბამისი მიმწოდებლების გამოვლენამდე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N397 დადგენილებით და მხარეთა შორის 2013 წლის 11 ივნისს გაფორმებული N030901/08/2911 ხელშეკრულების (შემდგომში „ხელშეკრულება“) მე-8 მუხლის 8.1. პუნქტის გათვალისწინებით, ვთანხმდებით ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანაზე და ამ მიზნით:

1. ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.1. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება განხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.“

2. ხელშეკრულების მე-10 მუხლის 10.1. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„10.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2015 წლის 30 იანვრის ჩათვლით“.

3. ხელშეკრულების ის პუნქტები, რომელთაც არ შეეხება შეთანხმება, უცვლელი რჩება.

4. წინამდებარე შეთანხმება წარმოადგენს 2013 წლის 11 ივნისს გაფორმებული N030901/08/2911 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

5. შეთანხმება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში.

6. შეთანხმება შედგენილია 3 (სამი) ეგზემპლარად, რომელთაც გააჩნიათ თანაბარი იურიდიული ძალა, შეთანხმების ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან“, ხოლო ორი – „შემსყიდველთან“.

„შემსყიდველი“

სსიპ „სოციალური მომსახურების
სააგენტო“

ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. N144,
საიდენტიფიკაციო კოდი N202178927


ზაზა რუხბია
დირექტორის მოადგილე

„მიმწოდებელი“


შპს „მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების
ცენტრი, საუნივერსიტეტო კლინიკა“
ქ. თბილისი, წინანდლი ქ. N9

საიდენტიფიკაციო კოდი 211385767

ს/ს „საქართველოს ბანკი“; ბანკის კოდი

BAGAGE22

ა/ნ GE29BG000000942316100


გიორგი ინგოროყვა
დირექტორი

